

## “ერი დედა ენისა“

თითქოსდა გასაოცარი არც არის ის, რომ რუსეთის ხელისუფლება საქართველოში თავის დიდმპყრობელურ გეგმებს ორასი წლის განმავლობაში ემისრების მეშვეობით შეფარვით და გეგმაზომიერად ახორციელებდა, დღეს კი აშკარად ახმოვანებს და მოქმედებაზეც გადადის, მაგრამ მეტად საჩოთიროა ის ფაქტი, ამ ანტიქართულ მოვლენას ჩვენთანაც გაუჩნდნენ მხარდაჭერები და ევროპის სხვადასხვა ინსტანციებში აგზავნიან ე.წ. ჭეშმარიტების დამამტკიცებელ უსტარებს, თითქოს მეგრელები, ლაზები და სვანები ეროვნულ უმცირესობებს მიეკუთვნებიან, მათი დიალექტები დამოუკიდებელი ენებია და ქართველები ამ უმცირესობათა უფლებების დისკრიმინაციას ეწევიან.

ამით თითქოს ნათელი ხდება, რომ საქართველოში კუთხურობის საძრახისი სენი ისევ იწყებს აღორძინებას, მაგრამ თუ ამ ფაქტს სიღრმისეულად გააანალიზებთ, მთავარი რამ ერთხელ კიდევ აშკარავდება: ეს პრობლემა გარედანაა შემოგდებული და უმწიფარ პოლიტიკანებთან და მედროვეებთან შეთანხმებით ხორციელდება, რომელთათვისაც დედამიწის ზურგზე, მამონას გარდა, არაფერი წმინდა და მარადიული არ არსებობს.

საქართველოს ისტორიული წარსული გვიდასტურებს, რომ ქართული ენა და კულტურა საქართველოს ყველა კუთხის მკვიდრთა პირმოა. მის ჩასახვასა და განვითარებაში ყველა კუთხის უდიდესი წვლილი შეიტანა და, მიუხედავად იმისა, რომ დროთა განმავლობაში სვანური, მეგრული და ლაზური დიალექტებად დაიშალა და, ისტორიული რეალებიდან გამომდინარე, მეტნაკლებად დასცილდა ფუძე ენას, ამ კილოებზე მოლაპარაკენი ქართული ენის მაგისტრალური ხაზიდან არასოდეს გადასულან: საუკუნეთა მანძილზე ერთგულებენ თავიანთ დედა ენას, ამ ენაზე ქმნიდნენ და აზროვნებდნენ, უდიდესი წვლილი შეჰქონდათ მის განვითარებასა და სრულქმნაში; არასოდეს გაუცხადებიათ კუთხურ მეტყველებაზე ანბანისა და ლიტერატურის შექმნის სურვილი, რადგან ერის მთლიანობა და სიძლიერე იყო მათი მთავარი და მუდმივი საზრუნავი.

შორეული წარსულიდან შემოგვცქერიან ქართული ენის უდიდესი მოამაგენი, შემოქმედნი, ალბათ, დედამიწის ზურგზე ერთ-ერთი ჩამოქნილი, სრულყოფილი ანბანისა, რაც მის უნივერსალურობაზე მიგვანიშნებს; ასევე შემოგვცქერიან ის წმიდა მამები, რომლებმაც მოხაზეს პირველი ქართული ანბანი, განავითარეს, საფუძველი დაუდეს ქართულ ჰაგიოგრაფიას, პოეზიას, საერო ლიტერატურას, გალობას, რომელიც თავისი განუმეორებლობითა და მრავალხმიანობით ხიბლავს თანამედროვეთ და გაცემა იპყრობთ, როცა თანამედროვე ქართველთაგან ამგვარ მკრეხელურ მოსაზრებებს ისმენენ, რამეთუ ამისი საჭიროება რომ ყოფილიყო, ისინი საერთო ქართულ ენაზე კი არ აახმიანებდნენ იმ გასაოცარ შედეგებს, რასაც ქართული პოეზია, ქართული პროზა და საგალობლები ჰქვია. ან რა შეუშლიდა ხელს იოანე მინჩხს, იმ შორეულ ეპოქაში მეგრულ დიალექტზე აეხმიანებინა თავისი ჰიმნები და საგალობლები, ან ფაზისის აკადემიაში მოღვაწე, პეტრე იბერის თანამედროვე იოანე ლაზს ტრაქტატები ლაზურ დიალექტზე შეედგინა...

ასევე მრავალ სხვა სახელმონხვეჭილ თუ უსახელოდ გარდასულ მამულიშვილს, რომელთაც ქართული ენისა და კულტურის სამსხვერპლოზე მიიტანეს თავიანთი ცოდნა, გამოცდილება, მოწამეობრივი რუდუნება, დარჩენ ქართული ენისა და კულტურის უცნობ რაინდებად და ხმალმომარჯვებულ მებრძოლთა დარად განუმეორებელი კვალი გაავლეს ქართული ენისა და კულტურის ნოყიერ ნიადაგზე და არსად აღუნიშნავთ, რომ მხოლოდ თავიანთი კუთხის განსაღიღებლად იღვაწეს. მათ ეს უანგარო შრომა ერთიანი ქართული ენისა და კაზმულისტყვაობის განვითარებას მიუძღვნეს...

ქართულმა ენამ მეოცე საუკუნის რუბიკონს გადააბიჯა. უკან დარჩა უთანასწორო ბრძოლებისა და ქარტეხილების საუკუნენი. ამ ბრძოლებში საკუთარი, თავისთავადი სახე ჩამოძერწა. იგი არც ერთ სხვა ენას არა ჰგავს, მისი ანბანი მოხაზულობით თითქოს მარტივია, მაგრამ ორიგინალურია და ერთხელ კიდევ მის უნიკალურობაზე მეტყველებს. მრავალმა ქართველმა პოეტმა დედაენას არაერთი აღფრთოვანების სტრიქონი მიუძღვნა...

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართველი საზოგადო მოღვაწენი, განსაკუთრებით სამეგრელოს მოსახლეობა, წინ აღუდგა რუსეთის იმპერიის ზრახვებს, რომელიც მიზნად ისახავდა ქართველთა ენობრივ-კულტურულ და ეთნიკურ დანაწევრებას, საქართველოს დაპყრობასა და ამიერკავკასიის მოქცევას თავის გეოპოლიტიკურ არეში.

იაკობ გოგებაშვილი ამ საკითხთან დაკავშირებით წერს:

"მეგრელთა ტომი ქართულ ენას ყოველთვის თვლიდა თავის მშობლიურ ძირითად ენად, ხოლო თავის ადგილობრივ დიალექტს უცქეროდა როგორც მშობლიურ კილოს" (ი. გოგებაშვილი, 1903).

ამბროსი ხელაია კი შემდეგს გვეუბნება: "ცდილობდნენ სამეგრელოს სკოლებიდან და ეკლესიებიდან გაეღვენათ ქართული; ამ ფაქტმა ეროვნულობის შენარჩუნების ძალეში სწრაფვა გამოაღვიძა: მეგრელები განიმსჭვალნენ თავიანთი სალიტერატურო და საეკლესიო ენის დაცვის იდეით..."

რუსიფიკატორთა საპასუხოდ სამეგრელოსა და აფხაზეთის საზოგადოებებისაგან გაიგზავნა განჩინებანი საეკლესიო-სამრევლო სკოლებში ქართული ენის სწავლების აუცილებლობის შესახებ. ებარქიის მასწავლებელთა საბჭომ განიხილა აღნიშნული განჩინებანი, ჩათვალა ისინი პატივისცემის ღირსად და დაადგინა: "იმ სამრევლო სკოლებში, სადაც მოსახლეობა ლაპარაკობს ქართული ენის მეგრულ დიალექტზე, ქართული ენის სწავლება აუცილებელია" (ამბროსი ხელაია, 1906, გვ. 130, 132).

თედო სახოკია წერს: "ყველას მოგეხსენებათ, რომ მეგრული ენის საკითხი რუსების შემოსვლამდე არ არსებობდა. ეს საკითხი გაჩნდა მას აქეთ, რაც რუსებმა საქართველოში ფეხი მოიკიდეს. როცა საქართველოს სხვადასხვა სამთავრო გაუქმდა და ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა ნაწილი გაერთიანდა, რუსეთის მთავრობამ იგრძნო ამ გაერთიანების საშიშროება და გადაწყდა ხელოვნურად შეექმნა დაქუცმაცება ჩვენის ქვეყნისა. 1870-იან წლებში იერიში მიტანილ იქნა სამეგრელოს სკოლებზე. აქ სამონასტრო სკოლებიდან ქართული ენა გამოდევნილი იყო, როგორც არადედაენა და პირდაპირ რუსულის საშუალებით ასწავლიდნენ საგნებს. ასე იყო საქმე "სამოქალაქო" და "ნორმალურ" სკოლებში. ამ სკოლებში მყოფი შეგირდები ქართულის, ანუ როგორც ისინი ამბობდნენ და დღესაც ამბობენ "ჩქინობურას", ე.ი. (ჩვენებურს) წერა-კითხვას

კონტრაბანდით, შინაურულად, მალვით თულა სწავლობდნენ" (1933 წ. ხობის რაიონული გაზეთი, №6-7)...

ქართულის სწავლების მსგავსი მეთოდები მოქმედებს ამჟამად ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართულ სკოლებში. გალის რაიონის სკოლებში ქართულის სწავლება ქართველი მოსწავლეებისთვის საერთოდ არცაა გათვალისწინებული...

რატომ მიაჩნდათ და მიაჩნიათ ქართველ მოღვაწეებს, რომ მეგრული, სვანური და ლაზური ქართული ენის კილოებია?

პასუხი ერთია: ორი დედაენა არ არსებობს; ყველა ქართველის ისტორიული დედაენა ქართული ენა; ვინც ქართველთა კუთხურ კილოებს ენებად აცხადებს, ის ისტორიულ დედაენას უკარგავს ლაზეთის, სამეგრელოსა თუ სვანეთის მკვიდრთ (ტ. ფუტყარაძე, 2008).

ილია ჭავჭავაძე გვმოდგვრავს: "ენა ისტორიულად ერისა, პირველი ნიშანი ერის ვინაობისა - ენაა";

ვაჟა ფშაველა: "ერი დედა ენისა".

ა.შ. და ა.შ.

ამ მრავალტევადი არგუმენტების საწინააღმდეგოდ, დიალექტების ენებად გამოცხადების მომხრეებს დღეს ისეთი უსუსური მტკიცებულებები მოჰყავთ, რომ ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.

თურმე ამაოდ დამშვრალან ჩვენი ერის მამები, ამაოდ უწერიან ქართული ლიტერატურის შედევრები, ამაოდ უთარგმნიან ათონსა თუ ძველ აღმოსავლეთში მიმოხეულ სამონასტრო კერებში მოღვაწე დიად ბერ-მონაზვნებს წმიდა წერილები, ამაოდ უქადაგიათ ჩვენს სულმნათ მოღვაწეთ, რომ სიტყვა "საქართველო" კრებითი ცნებაა, რომ საუკუნეთა განმავლობაში იგი ხან ივერიად მოიხსენიებოდა, ხან კოლხეთად, ხან აფხაზეთად, მაგრამ ეს გარესამყაროსთვის, ხოლო საქართველოს ყოველმა კუთხემ იცოდა ამ სიტყვის ფასი და მნიშვნელობა.

მთელი რიგი კატაკლიზმებისა და გარედან მოხვეული დაქსაქსულობის მიუხედავად, საქართველოს არც ერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის შვილს არასოდეს დაუკარგავს ის შინაგანი კავშირი და გზნება, რაც ჩვენმა დიდმა წინაპრებმა უანდერძეს მომავალ თაობებს და ამას გვიმოწმებენ ჩვენი სიგელ-გუჯრები, უძველესი ეტრატები, გასაოცარი ასომთავრულით ქვებზე ნატვიფრი ძეგლები.

ძნელი დასაჯერებელია, რომ ჩვენამდე მოღწეული ამ ძეგლებიდან რომელიმეში აღნიშნული ყოფილიყო, რომ ცნებები: ქართველი, ქართული, ქართული ენა ვიღაცის ხუმტურით ხელოვნურადაა შემოგდებული... სადაა ამისი საბუთი?

თუ ეს ვიღაცამ ანალებიდან საგანგებოდ ამოშალა, ნუთუ ერთი ფრაგმენტი მაინც არ გადარჩა, რომ ჩვენს წინაპარ ქართველებს ამ ვანდალიზმის გამო ეგრძნოთ სინანული. მაგრამ აქ საქმე სხვა რამეშია:

ვინც საქართველოს დაქუცმაცების კამპანიაშია ჩართული, დიახ, საქართველოს დაქუცმაცების კამპანიაში, კარგად მოეხსენება, რომ საქართველომ გეოპოლიტიკური თუ თავის მიერ არჩეული მოწამეობრივი ისტორიული გზის გამო გაუძლო მრავალ განსაცდელს, ჰქონდა როგორც აღმავლობისა და ძლიერების, ისე დაკნინებისა და დედამიწის ზურგიდან გაქრობის პერიოდიც,

მაგრამ არც ერთ შემთხვევაში ენობრივი ერთიანობის იდეისთვის არ უღალატია და ეს იყო ქართველობის ფენიქსისებურად აღდგენის იმპულსის თანმდევი ენერგია. ვისაც ეს ერთიანობა არაფრად უღირს, სწორედ ამ უმთავრესი ფორპოსტის მორღვევას უმიზნებს, თუმცა ამაოა მათი ზრახვები: ქართველ ხალხს ენობრივ-ეთნიკური ერთიანობის იმხელა შინაგანი რესურსები აქვს, ვერც ერთი გარეგანი ტალღა მისი დუღაბის სიმტკიცეს ვერაფერს დააკლებს.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში სამეგრელოსთვის გარედან თავსმოხვეულ პრობლემას მთელი ქართული საზოგადოებრიობა აღუდგა წინ. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ამ კუთხის გამოჩენილი წარმომადგენლები. სამეგრელოს მოსახლეობა ამ საკითხში საბჭოთა იმპერიასაც არ დაემორჩილა. ღრმა ღირსების გრძნობით აქტიურობდნენ ამ კუთხეში აღზრდილი ცნობილი მოღვაწენი. მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში კონსტანტინე გამსახურდიამ, ქართული სამწიგნობრო ენის ქმნადობის ძველქართული ტრადიციის გათვალისწინებით, დღევანდელი ენისთვისაც საშური თვალსაზრისი ჩამოაყალიბა:

"ჩემი აზრით, უნდა ხდებოდეს ენის რეპარაცია (აღდგენა - ზ.თ.) ადგილობრივი დიალექტების საშუალებით. უნდა შემოუშვათ ქართულ (სამწიგნობრო) ენაში როგორც მეგრულ-სვანური დიალექტების სიტყვები, ისე ფშავ-ხევსურული... ვაჟა-ფშაველამ ამ მხრივ დიდი სამსახური გაუწია ქართულ ენას... XX საუკუნის მწერლობამ უნდა მოგვეცეს ილიას ქართლურის, აკაკის იმერულის, ვაჟას ფშაურის, მეგრულისა და გურულის ელემენტების სრული სინთეზი. აი, ეს იქნება იდეალური ლიტერატურული ქართული" (კ. გამსახურდია, 1983, გვ. 499).

ასეთია დიდი ქართველი მწერლის პრინციპული პოზიცია. იგი ვერასოდეს შეურიგდებოდა იმ აზრს, რომ მეგრულ დიალექტზე ეთარგმნათ წმინდა წერილი და "ვეფხისტყაოსანი", ქართული ლოცვანი და საგალობლები, ვითომ იმ მიზეზით, რომ სამეგრელოს მოსახლეობას ქართული არ ესმისო. ეს სრული აბსურდი რომ არის, ამის ჩამდენნი ალბათ თვითონაც გრძნობენ, მაგრამ დამკვეთებს ასე სურთ და მათი იმედები ხომ უნდა გაამართლონ.

საბჭოთა კავშირის მთავრობას ამ საკითხის მიმართ როგორც საბჭოთა კავშირის გენსეკის - მიხეილ სუსლოვის (1902-1982) ქვემოთ მოყვანილი საიდუმლო წერილის ამონარიდიდან ირკვევა, უფრო დიდი, შორსმიმავალი ზრახვები ამოძრავებდა:

"...შორეულ აღმოსავლეთში მცხოვრებ გენერლებს უნდა მივცეთ ცხოვრების ნორმალური საშუალება. მათ ჩამოსასახლებლად გვეჭირდება შავი ზღვის სასაზღვრო ტერიტორია, სადაც, როგორც მოგეხსენებათ, ქართველები ცხოვრობენ. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქართველები ჩვენგან ძლიერ განსხვავდებიან, ადრე თუ გვიან, საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს დააყენებენ და თავისუფლებას მოითხოვენ. მათთან ბრძოლა უნდა დავიწყოთ აფხაზეთიდან. აფხაზეთის გამოყენებით სამეგრელოს, სვანეთს, აჭარასა და სხვა კუთხეებს უნდა მივცეთ დამოუკიდებლობა. მათში ცალ-ცალკე უნდა გავადვივოთ კუთხურ-ეროვნული გრძნობა. დასავლეთ საქართველო უნდა დავუპირისპიროთ აღმოსავლეთს. ამის შემდეგ მათ შორის მომრიგებლის ფუნქცია უნდა შევასრულოთ. პარალელურად მეცნიერები უნდა დავარწმუნოთ, რომ ისინი სხვადასხვა ქვეყნიებიდან ჩამოსახლებულნი, სხვადასხვა ერის წარმომადგენლები არიან, რაც მათი საქართველოს ტერიტორიიდან საბოლოოდ გაძევების საშუალებას მოგვცემს" („მებრძოლი საქართველო“, 26 მაისი, 2003 წ.).

ამ გეგმების ნაწილი უკვე განხორციელებულია. ყველას კარგად მოეხსენება რა ვითარებაცაა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, ახლა უკვე, როგორც ჩანს, სხვა კუთხეების ჯერი დგას და ისინი თავიანთი რუპორების, ჟირინოვსკებისა და გადაცმული ვითომ მეცნიერი უშიშროების გენერლების პირით ანმოვანებენ სუსლოვისა და მისი დერჟიმორდა წინაპრების გეგმებს, რომლის მიხედვითაც თურმე XXI საუკუნის მეგრელებმა, ლაზებმა და სვანებმა ვილაცების ხუმტურით, ამჯერად კი უკვე "რეგიონული და უმცირესობების შესახებ ევროპული ქარტიის" არსის გაყალბებით (ისევ რუსი ემისრები?) უარი უნდა თქვან იმ დედაენაზე, რომლის ერთ-ერთი შემოქმედნი თვითონაც არიან და თუ თვითნასწავლ ე.წ. მთარგმნელებზე არაფერს ვიტყვი, კაზმულსიტყვაობა უნდა დაიწყონ ნულიდან, ანუ მრავალსაუკუნოვანი, ტრადიციებით უმდიდრესი ქართული ლიტერატურიდან გადავიდეთ კნინ ლიტერატურაზე, რომელიც უეჭველად საეჭვო ღირებულების "ნაწარმოებებით" შეივსება.

აუცილებლად მიგვაჩნია შევეკითხოთ ამ ანტიიდეას აყოლილ სუბიექტებს: ვის სჭირდება ეს? ნუთუ მათ არ უფიქრიათ იმ შედეგებზე, რასაც ეს ნაბიჯი გამოიწვევს? ეს ხომ ზურგში მახვილის მუხანათურად ჩაცემის ტოლფასია?.. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ვის წისქვილზე ასხამენ წყალს. ნუთუ არ უფიქრიათ იმაზე, თუ რა კონგენიალობა მოეთხოვება ნათარგმნ "ვეფხისტყაოსანს", მთაწმინდელთა სწორუბოვარი ნათარგმნიდან ჩქაროსნული წესით გადათარგმნილ წმიდა წერილებს, ქართული პოეზიისა და პროზის შედეგებს...

ნუთუ ერთხელაც არ სმენიათ, რომ საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიაში წირვა-ლოცვა მხოლოდ ქართულ ენაზე აღევლინება, კუთხურ დიალექტზე ლოცვები და საგალობლები არასოდეს განმეანებულა, რადგან მეგრულსა და საერთო ქართულს ერთი ძირი აქვს და ოდნავ დაკვირვებით მოსმენის შემდეგ ყველა მიხვდება, რომ "ლორონთი" ღმერთია, ქირსე - ქრისტე, წმ. მარდიანი - წმ. მარიამი (ამით ღმრთისმშობლისადმი უდიდესი მადლიერების გრძობაა გაცხადებული, მეგრულად მარდი - მადლია), სქუა - შვილი, დიდა/ნანა - დედა, მუმა - მამა, ჯიმა - ძმა, და - და, სერი - ღამეა/სერი ღამეა ძველ ქართულშიც/, სერობა - ვანშობა, სამეგრელოში ვანშობას ოსერშეს უწოდებენ და ეს "სერობის" სახით გვაქვს სახარებაში შემონახული; გაენათი ანუ გენათი - მეგრულად გათენება ან თენებაა, ყუდე - სახლია, საყუდელი ან საყუდარი, აქედან საყდარი — უფლის სახლი, წყარი - წყალია, დიხა - თიხა/მიწა, თირი - თოვლი, ჭვიმა - წვიმა, თოლი - თვალი, გური გული, ქიანა - ქვეყანა, წყურგილი წყარო გრილი, არკვანი - აკვანი, ქუა - ქვა... ა.შ. და ა..შ...

ამ სიტყვებმა ლიტერატურულ ქართულში საუკუნეთა განმავლობაში სახე იცვალეს, მეგრულმა ბევრი ძველი ფორმა შეინარჩუნა და ხშირად ამის გამო მხოლოდ სალიტერატურო ქართულის მცოდნეთათვის თითქოს გაუგებარია, თუმცა გულისხმიერება რომ გამოვიჩინოთ, ყველაფერი თავის ადგილზე დალაგდება. ამ სიტყვებს ხომ სულმნათი სულხან-საბა ორბელიანი "ძველქართულს" უწოდებდა. ზოგიერთი გაყვიზინებული უვიცი კი ამბობს, ლიტერატურულ ქართულში ამ სიტყვებს "არ გავაჭაჭანებო"; მეორე უვიცი საბას ლანძღავს - მეგრული დაამცირაო... არადა, სულხან-საბა მეგრულ, მესხურ, გურულ თუ ქართველთა სხვა კილოების სიტყვებს უფრთხილდებოდა და ამბობდა:

ესა და ეს სიტყვა არაბულია, ესა და ეს ირანული ან თურქული და ამათ ძველქართული სიტყვები ჩაანაცვლეთო!

მაგალითები დავასახელოთ? რამდენიც გნებავთ, მაგრამ ამის საჭიროებას ამ წერილში ვერ ვხედავთ, ეს ენათმეცნიერებისა და მწერლების საქმეა და ქართველი მწერლები ამ "რეპარაციას" მომავალშიც ბუნებრივად განვხორციელებთ, ქართველი მკითხველი კი მშობლიურ ნიადაგზე მყარად დადგება და ეცოდინება, რომ ესა თუ ის სიტყვა მეგრულად, ლაზურად და სვანურად ანუ ძველქართულად როგორ უდერდა და მთელი ქართული ლიტერატურის "გადათარგმნა" საჭირო არ გახდება. აქვე აღვნიშნავთ, რომ თავის დროზე ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულში (1948) აუცილებლად დიდი დოზით უნდა შესულიყო მეგრულ-ლაზურ-სვანური ლექსიკაც /ქართლ-კახურის დარად/; სწორედ მეგრულ-ლაზურ-სვანურშია შემონახული არქაული ქართული ლექსიკა; ამ ლექსიკური მარაგის გამოყენება დღესაც დიდად წაადგება ჩვენი ეროვნული ენის - ქართული სამწიგნობრო ენის - განვითარებას.

ვიმედოვნებთ, რომ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის შემდგომ გამოცემებში აღდგება საბჭოთა პერიოდში "მივიწყებული" ტრადიციული გზა, რომელიც მომდინარეობს ღირსი იოვანე ჭყონდიდელის, იოვანე პეტრიწისა თუ სულხან-საბასგან...

სულხან-საბას კვალად, არაერთი ქართველი მოღვაწე მიუთითებდა, რომ მეგრული, ლაზური და სვანური დიალექტები ქართული დედაენისთვის სიტყვათა უღვევი სალაროა და ქართული სიტყვის ოსტატებმა ენის გასამდიდრებლად კუთხურ კილო-კავებს უნდა მიმართონ ისე, როგორც თავიანთ შემოქმედებაში ამ მარგალიტებს იყენებდნენ და ახალ ელვარებას სძენდნენ დიდი ვაჟა, ყაზბეგი, ილია, აკაკი და ჩვენი სხვა სულმნათი მოღვაწენი, გულისყურით მოეკიდონ გიორგი ლეონიძის, ივ. ჯავახიშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას, გრ. აბაშიძისა და სხვების რჩევებს, ქართულ შედეგებში უხვად მიმოხეულ ზანიზმებს ჩაუკვირდნენ და იქნებ ოდნავ მაინც გაერკვნენ საქმის არსში; თუმცა ადვილი შესაძლებელია, ზოგიერთები ამგვარად არ მოიქცნენ. ისიც ხომ კარგადაა ცნობილი, რომ უმეცრება საზოგადოდ ბოროტების სათავეა, მით უმეტეს, ამ უნდობარსა და გაუტანლობით აღსავსე დროში.

ნურც ნურავინ შეეცდება იმის მტკიცებას, რომ მეგრულად, ლაზურად ან სვანურად ლაპარაკი, ან ამ საგანძურში დაცული ლექსიკის გამოყენება ამიკრძალებსო. იშვიათად, მაგრამ ზოგჯერ საქმეში ჩაუხედავი ერთეული დილექტანტების მხრიდან ამგვარ უკადრის გამოხდომასაც აქვს ადგილი, თუმცა ამაზე ყურადღების გამახვილება არც ღირს, რადგან ერთი ძე შეცდენილის მიხედვით მთელ კუთხეზე ან ერზე მსჯელობა და დასკვნების გაკეთება არასწორია, მით უმეტეს, ძმებს შორის სხვადასხვა გაუგებრობის ნიადაგზე უთანხმოება რაოდენი სავალალოც არ იყოს, ხდება, მაგრამ ეს გაუგებრობები ზუსტი არაგუმენტების მოხმობითა და ურთიერთშორის სიყვარულის გამჟღავნებით ყოველთვის გაფანტულა და ქართველებს დიდი დედის წინაშე მოკრძალებით ქედი მოუდრეკიათ. ამ შემთხვევაში ჩვენი გამაერთიანებელი და დიდი დედა არის ქართული ენა. ამ ერთიანობის სწორუბოვარი ნიმუში კი, რომელიც, ალბათ, უამრავჯერ წაგიკითხავთ და ზეპირადაც იცით, გვსურს ერთხელ კიდევ შემოგთავაზოთ. უმორჩილესად გთხოვთ, ჩვენი სულმნათი ქართველი მამულიშვილის - დუტუ მეგრელის - სიტყვებს მთელი გულისყური მიაპყროთ:

ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია და სამეგრელო,

რაჭა-ლეჩხუმ-ჯავახეთი და მესხეთი სასახელო,  
ხევი, თუშ-ფშავ-ხევსურეთი, სვანეთი და აფხაზეთი,  
ძველი ტაო, იმერხევი, საინგილო და ლაზეთი,  
მთიულეთი — საარაკო, და აჭარის ზღვა და მდელი,  
ყველა ჩემი სამშობლოა, საყვარელი საქართველო.

#### დამოწმებული ლიტერატურა

- კ. გამსახურდია, 1983 - კ. გამსახურდია, ათტომეული, ტ.VII, თბ., 1983.  
ი. გოგებაშვილი, 1903 - ი. გოგებაშვილი, მეგრული დაწყებითი სკოლის  
საკითხისათვის, გაზ. “პეტერბურგსკიე ვედმოსტი“, 1903.  
გაზ. „მებრძოლი საქართველო“, 2003 წ., 26 მაისი.  
ტ. ფუტყარაძე, 2008 - ტ. ფუტყარაძე, ქართველთა დედაენა და  
დიალექტები, ქუთაისი, 2008.  
ამბროსი ხელაია, 1906 - არქიმანდრიტი ამბროსი, სტატიის გამო “ზმა  
სოხუმიდან“, გაზ. “კოლოკოლი“, 1906, №45. წიგნში: “ამბროსი (ხელაია)  
რუსეთის საეკლესიო პოლიტიკის შესახებ აფხაზეთში; გამოსაცემად მოამზადა,  
თარგმნა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო ნ. პაპუაშვილმა, თბ., 2005).

## ZURAB TORIA

### “NATION IS MOTHER OF LANGUAGE”

Russian government was carrying out its assimilation policy in Georgia for two hundred years according to the well-devised schemes by way of clandestine activities that were being led by its emissaries. Presently it openly declares its plans and puts them out into action. The issue tends to receive a rather delicate turns as the anti-Georgian phenomenon finds supporters within the Georgian state as well. They send “letters of evidence” to the European institutions and elsewhere, in an effort to prove that Megreles, Laz, and Svans belong to national minorities in Georgia, and that their dialects in fact are independent languages and as if Georgians violate their rights.

In the late half of the 19<sup>th</sup> century the population of Megrelia and a few public men of Georgia thwarted the Russia’s imperialistic aspirations aimed at language, cultural and ethnic crumbling of Georgia that would ultimately conquer Georgia and include the South Caucasus within its Geopolitical area.

Georgia has survived through its historical route of martyrdoms through which it has **never betrayed the language unity idea that has always been the main premise and an innate impulsive energy for the Phoenix-like restoration of the waned Georgian nationhood.** Those to whom the Georgian nationhood is of no value aim at tearing down this citadel. However, Georgian people have such unfathomable resources of language and ethnic unity that no outer waves can shake its solidity.